ანალიტიკური წერა

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისა და შემოსავლის გაზრდის მიზნით, ზაფხულში სხვადასხვა ქალაქში ღონისძიებათა ციკლი დაიგეგმა.

M ქალაქში კლასიკური მუსიკის კონცერტები ტარდებოდა ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, ღია სივრცეში მოწყობილ სცენაზე. ზაფხულის განმავლობაში მაყურებელს შეეძლო, ყოველ შაბათ-კვირას მთელი დღე გაეტარებინა ამ სივრცეში და მოესმინა მუსიკისათვის, შეხვედროდა ცნობილ შემსრულებელებს, შეეძინა მუსიკალური დისკები, ძველი ფირფიტები და სხვ.

N ქალაქის მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ ზაფხულში კლასიკური მუსიკის კონცერტებს ყოველდღე, საღამოს 8 საათზე დასწრებოდნენ. კონცერტები ქალაქის საკონცერტო დარბაზში იმართებოდა.

აღმოჩნდა, რომ კონცერტებმა M ქალაქს გაცილებით მეტი შემოსავალი მოუტანა, ვიდრე N ქალაქს.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამოც კლასიკური მუსიკის კონცერტებმა M ქალაქს უფრო მეტი შემოსავალი მოუტანა, ვიდრე N ქალაქს.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ვირტუალურ სივრცეში მოწყობილი მსოფლიო შედევრების გამოფენის დათვალიერება უფრო შთამბეჭდავი, შემეცნებითი და ემოციურად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე რეალურ გალერეებში გამოფენილი ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების ნახვა.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.